ხელშეკრულება N43 AIFSHC-16/0477/01

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **14 აპრილი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900) მეორეს მხრივ, **შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის **სოფიო კორძახიას** სახით (**მის:** ქ.თბილისი, ჩიქობავას 22; **ტელ:** 2907907; **ს/კ:** 406092570; **საბანკო რეკვიზიტები:** სს ”საქართველოს ბანკი”, კოდი: BAGAGE22 ა/ა GE95BG0000000336676400),

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს (ო/კოდი 24010301) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1000 ერთეული ერთჯერადი ჭიქის შესყიდვა (შემდგომში - საქონელი).(CPV39222120)

1.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 22 აპრილისა. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს **100 (ასი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფის მენეჯერის გიგა ხარჩილავას, რომელიც არ იმყოფება ”მიმწოდებელთან” ინტერესთა კონფლიქტში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე მათი უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 20 მაისისა.

4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”
სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ანა კვარაცხელია

”მიმწოდებელი”
შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“
დირექტორი

სოფიო კორძახია